



შუშათა და ზღვითა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
სამხეთა მმართველობის გამოსცემა

1931 წ. მანძილზე 25.

№ 10

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

97. სახალხო მეურნეობის კომისიის კომიტეტის გაუქმების შესახებ.

98. ყარაიის რაიონის დაარსების შესახებ.

99. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების დებულებების გაუქმების შესახებ.

100. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ქართული ნაწილების არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავათ 1931 წ. მარტის 30-ის საზეიმო—რევოლუციონერ დღედ გამოცხადების შესახებ.

### სამოქალაქო სამართალი

101. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის შეცვლის შესახებ.

102. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართის მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის დამატების შესახებ.

### საავტორო უფლება

103. საავტორო უფლების დებულების მე-10 მუხლისათვის „ნ“ პუნქტის დამატების შესახებ.

### მრეწველობა

104. „სახელმწიფო-სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმზილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1926 წ. ივნისის 12-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

105. ტყეის ქარხნების საჭირო ნედლეული უზრუნველყოფის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ოქტომბრის 23-ის თარიღისა და 112 №-ის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.

### მშენებლობა

106. სასოფლო ცენტრში და სერსიმოში მშენებლობისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

### ვაკრობა. მომარაგება

107. „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.

### ტრანსპორტი

108. „გზატკეცილებისა, ყამორგებისა და საგზო ნაგებობების გაუქმებისაგან დაცვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

### კომუნალური და საბინაო მეურნეობა

109. „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-12 მუხლის 1-ლი და მე-2 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

110. „დაწესებულებების მიერ ქალაქ ტფილისში დატყობილი საცხოვრებელი სადგომების

ჭირის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

111. მაგნიტოკოორსკისა, კუნწყეკისა, პეტროკოსკის (ხაბაიკალიე) და ნოვოტაგილის სამეტალურგო ქარხნებისა და აგრეთვე დნებროკომბინატის მშენებლობაში მონაწილე საინჟინერო-სატექნიკო და საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალისათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

### ფინანსები. კრედიტი

112. „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად მოსახლეობისათვის გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის სფეროში შეღავათების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

113. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების 21 მუხლის შეცვლის შესახებ.

114. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სარაიონო და წესებულებების მიერ საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისათვის ვადგადაცილებული სესხის გადახდევინების წესის შესახებ.

### შ რ ო მ ა

115. საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საბჭოს შესახებ.

116. ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ.

117. კოლექტიურ მეურნეობათათვის მომსახურების გასაწყვეად საანგარიშო დარგის მომუშავეთა მობილიზაციის შესახებ.

### სოციალურ-კულტურული წყობილება

118. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ.

119. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დახმარებელი კომისიის სამდიუორის ჩატარების შესახებ.

120. წერა-კითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოების „წერა-კითხვა“ ცენტრალური გამგეობის დეკადის ჩატარების შესახებ.

121. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების დეკადის ჩატარების შესახებ.

122. მილიციის ორგანოებისათვის და სხვა თანამდებობის პირთათვის დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში დახმარების აღმოჩენის დროს დაზარალებულ მოქალაქეთა უზრუნველყოფის შესახებ.

### სისხლის სამართალი

123. სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის და 61 მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლისა და აგრეთვე 61 მუხლის დისპოზიციის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

124. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 78<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

### სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

125. საქართველოს სსრ-ში საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ.

126. სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების 1-ლი მუხლის მესამე ნაწილისა და მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის „ბ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

127. შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

128. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლის შეცვლის შესახებ.

## სახელმწიფო წარმოება და მმართველობა

### 97. დადგენილება ს.კ.ს.

სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის გაუქმების შესახებ.

ქიმიზაციის საკითხების სახალხო მეურნეობის საერთო დაგეგმვასთან შეიძროდ დაკავშირების მიზნით და „სსრკ-ის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 13-ის დადგენილებისა და „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ქიმიზაციის კომიტეტის გაუქმების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 8-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი და 1929 წ. ნოემბრის 12-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ამ კომიტეტის შესახებ (კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 296) გაუქმებულ იქნეს.

2. სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის ფუნქციები გადაეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი გ. მცხბი.

1931 წ. აპრილის 5.  
ტფილისი.

### 98. დადგენილება ც.ა.კ.

ყარაიის რაიონის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღდგენს:

1. ნაზარლოს, ყარაიის და ალთაღლიას სასოფლო საბჭოს ქვემდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულში მოქცევის შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 287), ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულებიდან გამოიყოს ნაზარლოს, ყარაიის და ალთაღლიას სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულები და ამ ერთეულებიდან შესდგეს დამოუკიდებელი ყარაიის რაიონი—ცენტრით სოფ. ყარაიაში.

2. ახლად დაარსებული ყარაიის რაიონის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი შტატების მიხედვით მიეკუთვნოს რაიონების 1-ლ კატეგორიას, ხოლო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის მიხედვით—მე-3 კატეგორიას.

სრ საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 19.  
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 95 №-ში 1931 წ. აპრილის 25.

### 99. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების დებულების გაუქმების შესახებ.

რადგანაც მუშათა და გლეხთა მილიციისა და სისხლის საქმეთა სამძებროს მომუშავეთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის შესახებ\* გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 3-ის დადგენილების მე-7 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 90) მუშათა და გლეხთა მილიციის სამწყობრო და სადამინისტრაციო შედგენილობისა და აგრეთვე სისხლის საქმეთა სამძებროს აქტიური და ადმინისტრაციული შედგენილობის პირებზე გავრცელებულია შეღავათები განათლებისა, მიწის სარგებლობისა, სოფლის მეურნეობისა, ვადასახადებისა და საბინაო სფეროში, რაც დადგენილია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახის წევრთათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მაისის 10-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-12 №-ი, მუხ. 102) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მაგ. პ. მეღაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 27.

ტფილისი.

### 100. დადგენილება ც.ა.კ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ქართული ნაწილების არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად 1931 წ. მარტის 30-ის საზეიმო-რევოლიუციონურ დღედ გამოცხადების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ქართული ნაწილების მოწყობის დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად—1931 წ. მარტის 30-ი გამოცხადებულ იქნეს საზეიმო-რევოლიუციონურ დღედ მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

შენიშვნა. სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები 1931 წ. მარტის 30-ს მუშაობენ და მეცადინეობენ ჩვეულებრივი წესით.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს და საქართველოს სსრ მილიციისა და სისხლის საქმეთა



სამძებროს უფროსს მიიღონ ლონისძიებანი, რათა 1931 წ. მარტის 30-ს ყველა შენობა ქალაქად, ხოლო სხვა ადგილებში საბჭოთა დაწესებულებების მიერ დაკერილი შენობანი მორათულ იქნეს სათანადო დროშებით, ხალიჩებით, ბელადთა სურათებით, და მოეწყოს ილუმინაცია და სხვ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. მარტის 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 70 №-ში 1931 წ. მარტის 27.

## სამოქალაქო სამართალი

### 101. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) და „სარეწაო არტელების წევრთა შეღავათების შესახებ“ გამოცემული სსრ-კის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 56 №-ი, მუხ. 588), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„156. უკეთეს დამქირავებელი სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო ან დაქირავებული მუშა და მოსამსახურე, აგრეთვე ნორმირებული სამუშაო ხელფასის მქონე და მოგებაში არა მონაწილე წევრი სარეწაო არტელისა (საერთო სახელოსნოში მომუშავე) და სამშენებლო არტელისა (იმ პირობით, რომ ეს არტელები სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შედიოდნენ), სახელმწიფო სასწავლებლის მოწაფე, წითელარმიელის სარჩენი მისი წევრი, შრომისა და ომის ინვალიდი, — საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება ავტომატიურად განახლდება იმავე პირობებით და ვადუწყვეტილი ვადით, მიუხედავად გამქირავებლის თანხმობისა, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების მოსპობის უფლება, 171 და 172 მუხლში აღნიშნული გამოწვევის გარდა, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დამქირავებელს“.

ამა მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნები დატოვებულ იქნეს შეუცვლელად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოჯია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.



**102. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართის მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართის (მოქალაქეთა მიერ დაპერილი სადგომებიდან მათი ადმინისტრატიული წესით გამოსახლების წესისა და პირობების შესახებ (მე-2 მუხლის „ა“ ლიტერას დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[„2. ადმინისტრატიული წესით გამოსახლება გამოსახლებულისათვის თავისუფალი საცხოვრებელი სივრცის მიუკემლად შეიძლება ყოველ ეამს წლის განმავლობაში: ა) სასტუმროს სადგომიდან . . . . .]

„4) იმ პირობისა, რომელსაც სადგომის ქირაგნობის ვადა გაუთავდა“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მაგ. პ. მელაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 27.  
ტფილისი.

**საავტორო უფლება**

**103. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

**საავტორო უფლების დებულების მე-10 მუხლისათვის „ნ“ პუნქტის დამატების შესახებ.**

„შეკვეთით შესრულებულ საარქიტექტურო, საინჟინერო და სხვა ტენიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე შემკვეთთა უფლების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 58 №-ი, მუხ. 613), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების დებულების მე-10 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 200) დაემატოს პუნქტი „ნ“ შემდეგი შინაარსისა:

[10. საავტორო უფლების დარღვევად არ ითვლება . . . . .]

„ნ“) ყოველგვარი პროექტისა, საარქიტექტურო, საინჟინერო და სხვა ტენიკური გეგმისა, ნახაზისა და ნახატის სახით შესრულებული სამუშაოს ჩაბარე-

ბის თაობაზე ავტორთან დადებული ხელშეკრულებით მიღებული პროცენტისა, ვეგმისა, ნახაზისა და ნახატის გამოყენება შემოქმედის მიერ, დამატებით განსაზღვრულს გააღებლად, თავისი საჭიროებისათვის ან მესამე პირისათვის გადაცემა და პრესაში რეპროდუქტირება, უკეთეს ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

სრ. საქ. ც. ა. კ. -ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ. -ის მდივანი ხ. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 3.

ტფილისი.

## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

### 104. დადგენილება ს.კ.ს.

„სახელმწიფო-სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1926 წ. ივნისის 12-ის დადგენილებების გაუქმების შესახებ.

„სახელმწიფო ტრესტების მოგების განაწილებისა და ამ მოგების ანარიცხების სახელმწიფო შემოსავალში შეტანის წესის შესახებ“ გამოცემული აქსესორ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 22-ის დადგენილების შესაბამისად (აქსესორ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 18) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1926 წ. ივნისის 12-ის დადგენილება „სახელმწიფო სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-ი, მუხ. 84) გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ. ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. აპრილის 18.

ტფილისი.

### 105. დადგენილება ს.კ.ს.

ტყავის ქარხნების საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 25-ის თარიღისა და 112 №-ის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ოქტომბრის 23-ის თარიღისა და 112 №-ის დადგენილება ტყავის ქარხნების საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ (კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 10) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. აპრილის 18.

ტფილისი.

## მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

### 106. დადგინილება ს.კ.ს.

**სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.**

სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობისათვის ხელისშესაწყობად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ქვემოაღნიშნული შეღავათები სასოფლო ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობის სპეციალური ამხანაგობებისა და არტელებისათვის, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომელნიც უშუალოდ აწარმოებენ ცეცხლ-სეისმო-მძლე მასალებს:

ა) ცეცხლმძლე და სეისმომძლე შენობების ასაგებად საჭირო მიწებს, იჯარის ან აღნაგობის უფლებით, ადგილობრივი საადგილმამულო ორგანოები სახელმწიფო საადგილმამულო ქონების შედგენილობიდან მიუზღენ იმ გლეხ-მოსახლეობას, რომელიც გაერთიანებულია ცეცხლმძლე თუ სეისმომძლე მშენებლობის ამხანაგობად, უპირატესად ყველა სხვა განმცხადებელთა წინაშე, ხოლო, ამასთანავე, უპირატესი უფლება ამ მხრივ შეენარჩუნება მუშათა ბინათმშენებლობას; მიწები მიიჩნილ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალის კოდექსის 71 მუხლში დადგენილი ზღვრული ვადით;

ბ) თავისუფალი ქვისატეხები, ქვიშისა, ქვისა და თიხის კარიერები, აგურისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნები მიეცემათ იჯარით შეღავათიან პირობებზე იმ შეღავათების შეფარდებით, რაც ეძლევა მუშათა ბინათმშენებლობას;

გ) ცეცხლ-სეისმო-მძლე მშენებლობისათვის საჭირო ტყის საკაფები მიეცემათ საჭირო რაოდენობით რაც შეიძლება უახლოეს მანძილზე შენობიდან ან ცეცხლმძლე თუ სეისმომძლე მასალის წარმოების ადგილიდან, დატვირთვის პუნქტებისა და ხე-ტყის ჩამოსატეხტივებელი მდინარეების ახლო მდებარე ნაკვეთებზე;

დ) საწინი მასალების საერთო ფონდიდან ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის საჭიროებისთვის გამოიყოფა 0,25%;

ე) ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობასთან დაკავშირებული, სანოტარო წესით დამოწმებული გარიგებანი განათავისუფლდება ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

2. მეთაულურებისა და ხელმძღვანელობის გაწევა სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის საქმისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საშენებლო სექციას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. ხუბიშვალი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მესხი.**

1931 წ. აპრილის 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 132 №-ში 1931 წ. ივნისის 10.



**ვაჭრობა მომარაგება****107. დადგენილება ს.კ.ს.**

„სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

„სამინდე გამოსაღების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 27-ის დადგენილების 22 მუხლის თანახმად (ა/კსუსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 146) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იდგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილება „სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 240) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ზ. გოჯია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. აპრილის 5.  
ტფილისი.

**ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი****108. დადგენილება ს.კ.ს.**

„გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საგზაო ნაგებობების გაფუჭებისაგან დაცვის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო იდგენს:

„გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საგზაო ნაგებობების გაფუჭებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილების 1-ლ კარს (კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 38) დაემატოს მე-3<sup>1</sup> და მე-6 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„3<sup>1</sup>. აიკრძალოს ქვისა და სხვაგვარი კარიერების დამუშავება ისეთ ფერდობებზე, რაც გზებს აკრავს, გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის საამართველოსთან ამ დამუშავების წესის შეუთანხმებლად.“

„6. წინადადება მიეცეს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის საამართველოს გამოსცეს „ტრაქტოროცენტრ“-თან შეთანხმებით, ინსტრუქტია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.“

საქ. სსრ ს. კ. კ-ოს თავმჯდომარე ლ. ხუბიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. აპრილის 18.  
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 132 №-ში 1931 წ. ივნისის 10.



**კომუნალური და საბინაო მეურნეობა**

**109. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

„საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-12 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნების რედაქციის შეცვლის შესახებ.

„სარეწაო არტელების წევრთა შეღავათების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 2-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 56 №-ი, მუხ. 588) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების მე-12 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნები (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** იმ არტელის წევრები, რომელიც შედის სათანადო შემდგომ კოოპერატიულ შენაერთში და მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შეკვეთით, ქირას მათ მიერ დაკერილი საცხოვრებელი სადგომისათვის იხდიან იმ საფუძვლებზე, რაც დადგენილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის (მუხ. 5 და 6), უკეთუ იღებენ ნორმირებულ სამუშაო ხელფასს და მონაწილენი არ არიან არტელის მოგებაში“.

„**შენიშვნა 2.** სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალი სარეწაო არტელის ის წევრები, რომელნიც საერთო სახელოსნოში მუშაობენ, და სამშენებლო არტელის წევრები ქირას მათ მიერ დაკერილი საცხოვრებელი სადგომისათვის იხდიან იმ საფუძვლებზე, რაც დადგენილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის (მუხ. 5 და 6), უკეთუ იღებენ ნორმირებულ სამუშაო ხელფასს და მონაწილენი არ არიან არტელის მოგებაში“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს/თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

## 110. დადგენილება ს.კ.ს.

„დაწესებულებების მიერ ქალაქ ტფილისში დაქერილი საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„დაწესებულებების მიერ ქალაქ ტფილისში დაქერილი საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 26-ის დადგენილების მე-3 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-ი, მუხ. 123) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. ამიერკავკასიის ჰაერსაფრთხილი საზღვაო და მისი ქვემდებარე ორგანოები მუნიციპალიტეტულ სახლებში კანცელარიის ან სხვა, არასაეკონომიკური და არასამრეწველო ხასიათის, საჭიროებისათვის დაქირავებული სადგომების საიჯარო სასყიდლის (ქირის) განაკვეთების ზღვრული რაოდენობის მხრით გათანასწორებულ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებთან.“

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ლ. ხუზიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. აპრილის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 110 №-ში 1931 წ. ივნისის 15.

## 111. დადგენილება ს.კ.ს.

მაგნიტოგორსკისა, კუზნეცკისა, პეტროვსკის (ზაბაიკალიე) და ნოვოტაგილის სამეტალურგო ქარხნებისა და აგრეთვე დნეპროკოშინსკის მშენებლობაში მონაწილე ხაინუენერო-სატეხნიკო და სადამინისტრაციო-სამეურნეო პერსონალიზაციის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საინჟინერო-სატეხნიკო (ათისთავების ჩათვლით) და სადამინისტრაციო-სამეურნეო პერსონალის იმ მომუშავეებს, რომელნიც მიდიან მაგნიტოგორსკისა, კუზნეცკისა, პეტროვსკის (ზაბაიკალიე) და ნოვო-ტაგილის სამეტალურგო ქარხნებისა და აგრეთვე დნეპროკოშინსკის მშენებლობაზე, შეენარჩუნებთ, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი მშენებლობაზე იქნებიან, საცხოვრებელი ფართობი მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას იმ საფურცელზე, რაც დადგენილია ისეთ მომუშავეთათვის, რომელნიც იგზავნებიან სსრკ-ის დაწესებულებასა და საწარმოში საზღვარგარედ (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 11-ის დადგენილება „სსრკ-ის საზღვარგარედ მომქმედ დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 104 და 1929 წ. მე-19 №-რი, მუხ. 209).

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ლ. ხუზიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. აპრილის 29.

ტფილისი.

## ფინანსები. კრედიტი

### 112. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოში საბჭოთა ბელისფულების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად მოსახლეობისათვის გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის სფეროში შეღავათების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს საბჭოთა ბელისფულების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად მოსახლეობისათვის გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 24-ის დადგენილების მე-4 კარს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 60) დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ტერიტორიაზე ამა დადგენილების შეფარდების დროს ყველა იმ მუხლში, რომლითაც ვადად გათვალისწინებულია „1931 წ. თებერვლის 25“, ამ ვადის ნაცვლად უნდა იგულისხმებოდეს: აფხაზეთის ავტონომიური სსრ-თვის „1931 წ. მარტის 4“, ხოლო აჭარისტანის ავტ. სსრ-თვის „1931 წ. მარტის 18“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

### 113. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოხადებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების 21 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 21 მუხლის პუნქტები „თ“ და „ი“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებისა „ადგილობრივ გადასახადთა და გამოხადებთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) შეცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:



[21. სანახაობისა და გასართობის გადასახადისათვის დაწესებული შემდეგ მტკიცე ვანაკეთები . . . ]

„თ) რბენისა და დოლისათვის, რასაც გამართავს სახელმწიფო ცხენთ-სამომშენებლო,—შესასვლელი ბილეთის ფასის 25%-ის რაოდენობით;

ი) ტოტალიზატორზე მოთამაშეთათვის—დამატებით—45%-ით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. პ. მელაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 29.

ტფილისი.

#### 114. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სარაიონო დაწესებულებების მიერ საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისათვის ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინების წესის შესახებ.

„საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისათვის ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინების წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილების გასაუქმებლად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 10), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უფლებამ მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სარაიონო დაწესებულებათ მიაქციონ ხოლმე თავიანთივე განკარგულებით, სასამართლო ორგანოებისათვის მიუმართავენ, ვადაგადაცილებული დავალიანების დასაფარავად, მათთან შეტანილი ანაბარები და მიმდინარე ანგარიში იმ საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისა, რომელნიც აღნიშნულ დავალეხას არ იხდიან ბოროტი მოსაზრებით.

უკეთეს ანგარიშები და მიმდინარე ანგარიშები საქმარისი არ არის, უფლებამ მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სარაიონო დაწესებულებათ აღსრულებითი წარწერითა და აღსრულებითი ფურცლით, რაც მათი სარჩულით გაიცემა, გადახდევინება მიაქციონ პირველ რიგში ზემოხსენებული ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშებს სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, მეორე რიგში—არარეალიზებულ პროდუქციას და შემდეგ სხვა ქონებას, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგენილება ესე ვრცელდება აგრეთვე აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარის ტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრ. საქ. ც.ა-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გახ. „კომუნისტის“ 120 №-ში 1931 წ. მაისის 27.

## შ რ ო მ ა

### 115. დადგინდება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საბჭოს შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 10.

ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საბჭოს შესახებ.

1. რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამეურნეო ორგანიზაციებისა და პროფესიონალური კავშირების გავლენა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის მუშა-ძალის მომარაგების საქმეში, რათა შეკავშირებულ იქნეს სამეურნეო ორგანიზაციისა, პროფესიონალურ კავშირებისა და საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედება ამ სფეროში და რათა, საერთოდ, გაუმჯობესებულ იქნეს სახალხო მეურნეობისათვის მუშა-ძალის მომარაგების საქმის ორგანიზაცია,—საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებობს მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საუწყებოთაშორისო საბჭო.

2. საბჭო მოეწყობა შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით: საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა—2, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი—2, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი—1, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა—1, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზეებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსი—1, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა—1, ამიერკავკასიის რკინის გზათა დირექციისა—1, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსი—1, ტფილისის საქალაქო საბჭოსი—1, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირისა (ცეკავშირის)—1, მუშათა ერთიანი კოოპერაციისა—1, სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირისა—1, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ცენტრისა—1, საქართველოს სსრ ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა—1, დიდრონ საწარმოთა მუშებისა—3, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა—1.

საბჭოს თვითიველ წევრს ჰყავს მოადგილე, რომელიც საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებს გადაწყვეტი ხმის უფლებით საბჭოს წევრის არყოფნის დროს.

საბჭოს წევრები და მათი მოადგილეები დელეგირებულ იქნებიან სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ; ამასთანავე მათი კანდიდატურა შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან.

საწარმოთა სამი წარმომადგენელი მიიწვევა, საბჭოს შედგენილობაში იმ წესით, რასაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარეს (საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან) და მის ორ მოადგილეს (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან) პერსონალურად დანიშნავს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

### 3. საბჭოს დაეკისრება:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს მუშა-ძალის მოწესრიგებისა, მომზადებისა და მომარაგების ოპერატიული გეგმები:

1) სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშა-ძალით მომარაგების სფეროში;

2) მუშა-ძალის კვალიფიციური კადრების მომზადებას სფეროში, რასაც ანხორციელებენ როგორც შრომის ორგანოები, ისე სამეურნეო ორგანოები;

3) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის სპეციალისტების განაწილებისა და აგრეთვე სახალხო მეურნეობის უფრო ნაკლებ პასუხსაგები დარგებიდან უფრო პასუხსაგებ დარგებში და ერთი რაიონიდან მეორე რაიონში სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშა-ძალის გადაყვანის სფეროში;

4) იმ ღონისძიებათა დაფინანსების სფეროში, რაც ხორციელდება შრომის ორგანოებისა და სამეურნეო ორგანოების მეშვეობით, მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების ორგანიზაციის საქმეში;

ბ) განიხილოს იმ უალრესი მნიშვნელობის დადგენილებებისა, განკარგულებებისა და დირექტივების პროექტები, რაც გამოიქვამს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის სახელით ან შეიტანება საკანონმდებლო ორგანოებში „ა“ პუნქტში აღნიშნული საკითხების თაობაზე;

გ) განიხილოს მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საქმის საკონიუნქტურო მიმოხილვები;

დ) ექონიოს კონტროლი აღნიშნული ოპერატიული და გეგმების აღსრულების მიმდინარეობისათვის.

4. საბჭოს სხდომები მოიწვევა საქიროებისდამიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

საბჭოს სხდომის კანონიერებისათვის საჭიროა, რომ სხდომას დაესწროს საბჭოს წევრთა ან მათ მოადგილეთა ნახევარი რიცხვი მაინც და აგრეთვე თავ-მჯდომარე ან ერთი მისი მოადგილეთაგანი.

საბჭოს ყველა დადგენილება მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

5. უკეთეს წევრი თანახმა არ არის საბჭოს დადგენილებსა, მას შეუძლიან განაცხადოს თავისი განსაკუთრებული აზრი, რაც წარდგენილ უნდა იქნეს წე-რილობით არა უგვიანეს სამი დღისა დადგენილების მიღების დღიდან.

ის დადგენილება, რომლის გამოც განცხადებულია პროტესტი, გადაიტა-ნება გადასაწყვეტად საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის კო-ლეგიაში.

ის დადგენილება, რომელიც განპროტესტებული არ არის ამ წესით, ჩა-ითვლება შეთანხმებულად სათანადო უწყებებთან და ორგანიზაციებთან.

უკეთეს საბჭოში წარმოდგენილი უწყება ან ორგანიზაცია თანახმა არ არის საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებისა, მას შეუძლიან განაპროტესტოს ეს დადგენილება საამისოდ განსაზღვრული სა-ერთო წესით.

6. საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს სა-ბჭოს მიერ განხილული ყოველი საკითხი ხელმოკრედ დააყენოს საბჭოს განსა-ხილველად.

7. საბჭოს უფლება აქვს ჩააბას თავის მუშაობაში როგორც იმ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელი, რომელნიც საბჭოში წარმოდგენილი არ არიან, ისე ცალკეული კომპეტენტური პირები.

8. საბჭოს ჰყავს პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო ყველა სხვაგვარი მას მომსახურებას უწყევს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის აპა-რიატი.

9. საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებთან ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში არსებობს მუშა-ძალის მომზადებისა და მომარაგების საუწყებოთაშორისო საბჭოები.

საბჭოების შედგენილობა, კომპეტენცია და მუშაობის წესი განისაზღვრება ამა დებულების შესაბამისად.

## 116. დადგენილებაა ც.ა.კ. და ს.ა.ს.

ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-სართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 12-ის დადგენილებით დამტკიცებული „წყლის გამოსაღების დებულების“ 29 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 39 №-ი, მუხ. 418 და 419)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. საირორიგაციო სისტემების რაიონებში წყალმოსარგებლეთ, წყლის გა-მოსაღების გადახდის გარდა, დაეკისრებათ აგრეთვე ნატურალური წყალსამეურ-ნეო ბეგარა სარწყავი და დასაშრობი არხების ყოველწლიური გაწმენდისა და



რემონტისათვის მიწის სამუშაოების შესასრულებლად და აგრეთვე ადგილობრივი ქვა-ფიჩხის ტიპის სათავე წყალ-მიმღებ ნაგებობათა აღდგენისათვის საჭირო სამუშაოების საწარმოებლად სტიქიური მოვლენისაგან (წყალმატება) ამ ნაგებობათა დაზიანების დროს.

**შენიშვნა.** ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე გაიწვევიან სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების წყალმოსარგებლენი.

2. წყალსამეურნეო ბეგარის სამუშაოებს წყალმოსარგებლენი შეასრულებენ პირადი შრომით და თავიანთი ინსტრუმენტებით, რაც ადგილობრივ იხმარება; მუშაობისათვის მათ სასყიდელი სახელმწიფოსაგან არ ეძლევათ.

**შენიშვნა.** ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე გაწვეული წყალმოსარგებლენი საზრდოობენ მუშაობის დროს თავიანთი ხარჯით. ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე იმ ადგილიდან გაწვეულ წყალმოსარგებლეთ, რომელიც დაშორებულია სამუშაოდან 8 კილომეტრზე მეტი მანძილით უნდა მიეცეთ უფასოდ სადგომი ღამის ვასატარებლად.

3. ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე მიწის სამუშაოების შესასრულებლად წყალმოსარგებლენი შეიძლება გაწვეულ იქნენ მარტოდენ შემდეგ პერიოდებში: ოქტომბრის 15-დან დეკემბრის 1-დე და თებერვლის 1-დან მაისის 15-მდე; სათავე ნაგებობათა აღდგენის სამუშაოზე—მთელ სავვეტაციო პერიოდში; ამასთანავე, ნატურალურ ბეგარაზე მუშაობა უნდა სწარმოებდეს, შეძლებისადავარად, ისეთ დროს, როდესაც მოსახლეობა თავისუფალია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან.

4. ის სამუშაო დრო, რაც ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე გაწვეულმა თვითეულმა წყალმოსარგებლემ უნდა მოანდომოს ამ ბეგარის შესრულებას, არ უნდა აღემატებოდეს შეიდ სამუშაო დღეს მთელი წლის განმავლობაში.

**შენიშვნა.** ის პირნი, რომელთა მეურნეობაც, სპეციალური კანონების მიხედვით, ეკუთვნის კულაკურ მეურნეობათა რიცხვს, ან რომელნიც საშემოსავლო გადასახადს იხდიან მე-3 №-ის განრიგით, შეიძლება გაწვეულ იქნენ ვადით 14 დღემდე წელიწადში.

5. ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარის სამუშაოებზე გაიწვევა წყალმოსარგებლეთაგან მაშრობითი სქესის მოსახლეობა ასაკით 18-დან 50 წლამდე. ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარისაგან განთავისუფლდებიან.

ა) ის პირნი, რომელთაც დროებით დაკარგეს შრომის უნარი ავადმყოფობისა და დაზიანების გამო—იმ ვადის განმავლობაში, რაც საჭიროა შრომის უნარის აღდგენისათვის;

ბ) ის ინვალიდები, რომელთაც არ შეუძლიან ნატურალურ ბეგარაზე მუშაობა;

გ) ის პირნი, რომელნიც იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მუღმივ ან ცვალებად ნაწილებში;

დ) ის პირნი, რომელნიც განთავისუფლებულ არიან ამ ბეგარისაგან სხვა პატივსაცემი მიზეზის გამო სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

**შენიშვნა:** ის წყალმოსარგებლენი, რომელნიც იმყოფებიან მუდმივ სამუშაოზე სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში, ბეგარაზე პირადად არ ვაიწვევიან, ხოლო ეს ბეგარა მათ შეეცვლებათ ფულადი შესატანი თ მე-მ მუხლში აღნიშნული წესისამებრ დადგენილი ნორმებით.

6. უკეთეს სატეხნიკო-სამრეწველო საწარმოო, სახელმწიფო დაწესებულება, რკინის გზის სამმართველო, სამხედრო უწყების დაწესებულება, საცდელი მინდორი, საბჭოთა მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა, კერძო იურიდიული პირი და სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაცია ხმარობს წყალს საირიგაციო არხიდან, იგი ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარას შეასრულებს მუშათა სათანადო რიცხვის მიჩნით.

7. ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარა-ვალდებულ წყალმოსარგებლეთ უფლება აქვთ, უკეთეს ამა თუ იმ ადგილას მოიპოვება დასაქირავებელი საკმაო მუშა-ძალი, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, თავიანთი პირადი შრომა შესცვალონ სათანადო ფულადი შენატანით.

8. ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის ნაცვლად შესატანი ფულადი გადასახდის ნორმებს განსაზღვრავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ადგილობრივ არსებული მუშა-ძალის საშუალო შრომის სასყიდლის მიხედვით.

9. ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის წესით განსახორციელებელ სამუშაოთა წლიურ გეგმას შეადგენს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო წყალსამეურნეო მშენებლობის სათანადო სახარჯთაღრიცხვო განზრახვულებებთან ერთად.

10. სამუშაოთა წლიური გეგმის თანახმად წყალთა მეურნეობის ორგანოები გაანაწილებენ ყველა სამუშაოს—საჭირო მუშა-ძალის რაოდენობის განსაზღვრის სახით—სასოფლო საბჭოებსა და მე-ნ მუხლში აღნიშნულ წყალმოსარგებლებს შორის პროპორციულად იმისდამიხედვით, თუ საირიგაციო ქსელი ვის რა მომსახურეობას უწყევს.

სოფლის ინდივიდუალურ წყალმოსარგებლეთა შორის გაანაწილებას მოახდენს სათანადო სასოფლო საბჭო, რისთვისაც ანგარიშში მიიღებს ცალკეულ მეურნეობათა ძალოვნებს (ღარიბი, საშუალო და კულაკური მეურნეობა).

წყალმოსარგებლეთა სიებს, მათი ძალოვნების მიხედვით და მათი ხვედრი ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის ოდენობის აღნიშვნით, შეადგენენ სასოფლო საბჭოები და დაამტკიცებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

11. შრომის წყალსამეურნეო ბეგარას ბეგარა-ვალდებული პირნი და მეურნეობანი შეასრულებენ ნაჭრობითი სამუშაოს პრინციპზე, ე. ი. ბეგარა-ვალდებულ პირს თუ მეურნეობას დაეკისრება განსაზღვრული მოცულობისა და თვისების წყალსამეურნეო სამუშაო, რაც გამოიანგარიშება საგადანაკვეთო დებულების ნორმებისა და ზემოაღნიშნული წესების მიხედვით.

12. დადგენილებას წყალმოსარგებლეთა ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე ვაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართვე-

ლოს მიერ შედგენილი სამუშაოთა გეგმის მიხედვით, და აგრეთვე სტიქიურ მოვლენათაგან (წყალმატება) სათავე ნაგებობათა დაზიანების გამო, გამოსცემენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები წყალთა მეურნეობის სათანადო სარაიონო განყოფილების განცხადებისამებრ.

13. ნატურალური ბეგარის წესით განსახორციელებელ სამუშაოთა ორგანიზაცია დაეკისროს წყალთა მეურნეობის სარაიონო განყოფილებებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

14. ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარა-ვალდებულ პირთა მიერ უარის თქმა ამ ბეგარის შესრულებაზე ან თავის არიდება გამოიწვევს, გარდა პასუხისმგებლობისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, აგრეთვე ფულად გადასახდელს გაცდენილი სამუშაო დღეებისათვის ამა დადგენილების მე-8 მუხლის წესისამებრ განსაზღვრული ნორმების მიხედვით.

15. ამა დადგენილების მე-5 მუხლის შენიშვნით და მე-7 და 14 მუხლებით გათვალისწინებულ ფულად თანხებს, ნატურალური ბეგარის ნაცვლად, გადაახდებიან სასოფლო საბჭოები გადასახადთა გადახდივების საერთო წესით და ჩარიცხავენ იმ ორგანოების შემოსავლად, რომელნიც აწარმოებენ სათანადო წყალსამეურნეო სამუშაოებს. ამ თანხების დაბარჯვა შეიძლება მხოლოდ ისეთი მიზნისათვის, რაც განსახორციელებელია შრომის წყალსამეურნეო ბეგარის შეფარდებით.

**შენიშვნა.** აღნიშნული სახსარის გადახდივებისა, შენახვისა, აღნუსხვისა და დაბარჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს ათი დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

17. დადგენილება ესე ვრცელდება მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქითურთ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდუა.

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

### 117. დადგენილება ს.კ.ს.

კოლექტიურ მეურნეობათათვის მომსახურეობის გასწევად საანგარიშო დარგის მომუშავეთა მობილიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. ამასთანავე დართულ სიაში აღნიშნული დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან, ორი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოჰყონ საანგარიშო დარგის მომუშავეები (მოანგარიშები) სა-

ქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირის განკარგულებაში ორი თვის ვადით რაიონებში ვასაგზავნად.

2. მობილიზებულ მომუშავეებს მთელი მობილიზაციის განმავლობაში შეენარჩუნებათ სამსახურის ადგილი და საშუალო სამუშაო ხელფასი.

3. დღიურ სარგოს თვიური სამუშაო ხელფასის ერთი-მესამოცედის რაოდენობით, ბინის ხარჯს 2 მანეთის რაოდენობით (უკეთუ ბინა ნატურით არ იქნა მიცემული) და გზის ხარჯს ნამდვილ ღირებულებების რაოდენობით გაიღებენ ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, სადაც მომუშავენი მობილიზაციამდე მუშაობდნენ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. ხუბიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. მეხხი.**

1931 მარტის 30.  
 ტფილისი.

**ნ უ ს ხ ა**

იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა, რომელთა საანგარიშო დაზღვის მომუშავეები (მოანგარიშეები) მობილიზებულ ატიან კოლექტივურ მუერნიტმათათვის მომსახურების გასაწევად.

დაწესებულებებისა და ორგანიზაციის სახელწოდება	მობილიზებულთა რიცხვი
1. საქართველოს კანო-მრეწველობა . . . . .	1
2. სარეწაო კავშირი . . . . .	2
3. საქართველოს ზილდინ-კავშირი . . . . .	1
4. საბჭოთა მეურნეობების ტრესტი . . . . .	1
5. კომუნალური ბანკი . . . . .	1
6. საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი . . . . .	1
7. წითელი ჯერის საზოგადოება . . . . .	1
8. ტფილისის წყალსადენი . . . . .	1
9. ტფილისის საქალაქო ლომბარდი . . . . .	1
10. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობა . . . . .	1
11. საქართველოს აბრეშუმი . . . . .	1
12. ტფილისის სოფლმრეწვი . . . . .	1
	13

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 74 №-ში 1931 წ. მარტის 31.

## სოციალურ-კულტურული წყობილება

### 118. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან ერთად, შეადგინოს სამეურვეო საბჭოს სათანადო სამუშაო აპარატის შტატები და ხარჯთაღრიცხვა.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ.

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები არიან:

ა) საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ცენტრალური სამეურვეო საბჭო, რომლის შედგენილობაშიაც შედიან წარმომადგენელნი: სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა (თავმჯდომარე), განათლების სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, რესპუბლიკის პროკურატურისა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტისა;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები და ინსპექტორები, ხოლო ქალ. ტფილისისა, ქუთაისისა, ფოთისა, ბათუმისა და სოხუმში—საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები და განყოფილებები;

გ) სასოფლო საბჭოები.

2. ცენტრალური სამეურვეო საბჭო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები არიან ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის ორგანოები მეურვეობისა და მზრუნველობის ქვემდგომი ორგანოების მიმართ.

3. სამეურვეო და სამზრუნველო ფუნქციების უშუალო განხორციელება რაიონებში შემაჯალ ქალაქებში დაეკისრება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო ინსპექტორებს (მუხ. 6), ხოლო დამოუკიდებელ საადმინისტრაცი-

ციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქალაქებში—საქალაქო საბჭოს სათანადო განყოფილებებს.

4. ცენტრალური სამეურნეო საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ინსტრუქციებისა და განკარგულებების გამოცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ყველა ორგანოში თანაბარი მოქმედების დამყარებისათვის;

ბ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მომუშავეთა თათბირების მოწვევა;

გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ქვემდგომი ორგანოების დადგენილებებზე და განკარგულებებზე შეტანილი საჩივრების განხილვა;

დ) მეურვეობისა და მზრუნველობის სათანადო ორგანოების რევიზიისა და გამოკვლევის დანიშვნა და მათ მოქმედებაში აღმოჩენილი შეუსაბამობის ასაცილებლად ღონისძიებათა მიღება;

ე) მეურვეობისა და მზრუნველობის თაობაზე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების შიერ წარდგენილი წლიური ანგარიშების გახილვა.

5. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების გამგებლობის საგანს, გარდა საერთო ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის გაწვევისა მეურვეობის და მზრუნველობის ქვემდგომი ორგანოების მოქმედებისათვის, შეადგენს აგრეთვე:

ა) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო ინსპექტორებისა და საქალაქო საბჭოების სათანადო განყოფილებებისა, აგრეთვე სასოფლო საბჭოების დადგენილებებზე და განკარგულებებზე—მეურვეობისა და მზრუნველობის სფეროში—შეტანილი საჩივრების განხილვა;

ბ) ამა ბუხლის წინა პუნქტში აღნიშნული სამეურნეო და სამზრუნველო ორგანოების მოქმედების რევიზიისა და გამოკვლევის დანიშვნა და აგრეთვე შენიშნული შეუსაბამობის თავიდან აცილება;

გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ქვემდგომი ორგანოების წლიური ანგარიშების განხილვა;

დ) მეურვეობისა და მზრუნველობაში მყოფ პირთა ისეთი ქონების გასხვიებისა და დაგირავების ნებართვა, რაც 15 მან. ღირებულებას აღემატება;

ე) სულით აყადმყოფთა და ქკუანაკლებთა შემოწმების მოწყობა, მათი აღნუსხვისა და რეგისტრაციის მოწყობა და მათთვის მუღმივი საშედიცინო მეტვალყურობის მოწყობა;

ვ) ზვილად აყენის საქმე;

ზ) ბავშვების ჩამორთმევა მშობლებისა და სხვა პირებისათვის, ვის მზრუნველობაზედაც ეს ბავშვები იმყოფებიან, უკეთუ ამას ბავშვების ინტერესები მოითხოვს;

თ) მშობელთა შორის შეუთანხმებლობის გადაწყვეტა მათი შვილების გვარისა და აღზრდის გამო;

ი) სასამართლოსათვის დასკვნის წარდგენა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ერთად არა ცხოვრობენ და გადასაწყვეტია დაეა იმის თაობაზე, მათ

შორის რომელთან უნდა იცხოვრონ შვილებმა, აგრეთვე მშობლის უფლებების ჩამორთმევისა და შვილად აყვანის გაუქმების საქმეზე.

6. რაიონებში შემავალ ქალაქებში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან განწესებული ინსპექტორების (სახალხო განათლების ინსპექტორისა—არასრულწლოვანთა მიმართ, ჯანმრთელობის ინსპექტორისა—სულით ავადმყოფთა და ჰკუნააკლებთა მიმართ, სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორისა—უგზო-უცვლოდ დაკარგულთა და გარდაცვალებულთა, აგრეთვე იმ სრულწლოვან პირთა მიმართ, რომელთაც თავიანთი უფლების დაცვა არ შეუძლიანთ), ხოლო სოფლად—სასოფლო საბჭოების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მეურვეებისა და მზრუნველების დანიშვნა;

ბ) მეურვეობაში ან მზრუნველობაში მისაცემ პირთა ქონების აღწერილობის შედგენა, ხოლო შემდგომ ამ ქონების პერიოდულად შემოწმება;

გ) მეურვეებისა და მზრუნველების მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევა, მათზე შეტანილი საჩივრების განხილვა, მათი განთავისუფლება და გადაყენება;

დ) მეურვეებისა და მზრუნველების ანგარიშების განხილვა და შემოწმება;

ე) მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ პირთა ისეთი ქონების გასხვიებისა და დაგირავების ნებართვა, რაც 15 მან. ღირებულებას არ აღემატება;

ვ) მეურვეობაში მყოფი არასრულწლოვანის სხვა პირთათვის აღსაზრდელად და სასწავლებლად მიცემის ნების დართვა;

ზ) მეურვისათვის ნების დართვა სულით ავადმყოფი შესანახად სხვა პირთ გადასცეს;

თ) მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფ პირთა შესანახად საჭირო ხარჯების გაწევის ნება დართვა და მათთვის საჭირო სახსარის გადაღების თაობაზე შუამდგომლობის აღძვრა.

7. დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქალაქებში წინა მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს განახორციელებენ სათანადო განყოფილებანი: არასრულწლოვანთა მიმართ—სახალხო განათლების განყოფილება, ხოლო ავადმყოფთა და ჰკუნააკლებთა მიმართ—ჯანმრთელობის განყოფილება, უგზო-უცვლოდ დაკარგულ და გარდაცვალებულთა, აგრეთვე იმ სრულწლოვან პირთა მიმართ, რომელთაც თავიანთი უფლების დაცვა არ შეუძლიანთ,—სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.

8. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები თავიანთი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებენ საჭიროწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის სათანადო მუხლებს, ამა დებულებას და აგრეთვე შემდგომი ინსტრუქციების ინსტრუქციებს.

9. საჩივრები მეურვეებისა და მზრუნველების მოქმედებაზე შეიტანება მეურვეობისა და მზრუნველობის იმ ორგანოებში, რომლებმაც ისინი დანიშნეს: აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო ინსპექტორებთან, საქალაქო საბჭოების სათანადო განყოფილებებში და სასოფლო საბჭოებში—კუთვნილებისამებრ.

10. საჩივრები წინა მუხლში აღნიშნული ინსპექტორებისა, განყოფილებებისა და სასოფლო საბჭოების დადგენილებებზე და განკარგულებებზე შეიტანება

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმების კუთვნილებისამებრ.

11. საჩივრები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებზე და განკარგულებებზე შეიტანება ცენტრალურ სამეურვეო საბჭოში.

12. საჩივრების შეტანა შეუძლიანთ როგორც მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფ პირთ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვა პირებს; საჩივრის შეტანა არავითარი ვადით შეზღუდული არ არის.

13. დათხოვნილ ან გადაყენებულ მეურვეებს და მზრუნველებს საჩივრის შეტანა შეუძლიანთ მხოლოდ ათი დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მათ შეიტყვეს, რომ დათხოვნილ ან გადაყენებულ არიან.

14. საჩივრები შეიტანება როგორც იმ ორგანოს მეშვეობით, რომლის დადგენილებაც თუ განკარგულებაც განისაჩივრება, ისე უშუალოდ თვით ამ ორგანოების ზემდგომ ინსტანციებში.

15. მეურვეობისა და მზრუნველობის ის ორგანო, რომლის დადგენილებაც თუ განკარგულებაც განსაჩივრებულა და საჩივარი მას გადაეცა, წარადგენს ამ საჩივარს საქმითა და საჭირო განმარტებითურთ ზემდგომ ინსტანციაში არა უგვიანეს ხუთი დღისა საჩივრის შეტანის მომენტიდან.

16. საჩივრებს სათანადო ინსტანციები განიხილავენ თხუთმეტი დღის განმავლობაში შეტანის მომენტიდან, ხოლო, უკეთეს საჭიროა სპეციალური გამოკვლევა, — ერთი თვის განმავლობაში.

17. ამა დებულების მოქმედება აგრეთვე ეფებაზეთის ავტონომიურ სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე; ამასთანავე ცენტრალური სამეურვეო საბჭოები მოეწყობიან ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოებთან ამა დებულების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული შედგენილობის მიხედვით.

### 119. დადგენილება ც.ა.პ.

ხრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის სამდლიურის ჩატარების შესახებ.

ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად და მის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოთა მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და აღნიშნულ ორგანოთა მიზნების და იდეების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიას მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდლიური 1931 წლის აპრილის 22, 23 და 24 „ლენინის სახელობის სამდლიური“-ს ლოზუნგით ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.





2. აღნიშნული ვადის—აპრილის 22—24—განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) შეიგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩაში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულების სადგომებში.

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები.

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები ხეივანულ კომისიის მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენონ საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ აქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგერის სახით ხეივანული კომისიის სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა სანახაობა-გასართობზე (თეატრი, კონცერტი, კინო, ცირკი) მიმსვლელისათვის ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც დაწესებულია საერთო წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თაემჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

გამოკვეთილია ვაზ. „კომუნისტის“ 91 №-ში 1931 წ. აპრილის 21.

**120. დადგენილება ც.ა.კ.**

**წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოების „წერა-კითხვა“ ცენტრალური გამგეობის დეკადის ჩატარების შესახებ.**

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოების „წერა-კითხვა“ ცენტრალური გამგეობის მატერიალური სახსრის გაძლიერების და მისი იდეების და მიზნების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს საზოგადოების „წერა-კითხვა“ ცენტრალურ გამგეობას მოაწყოს მატერიალური სახსრის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დეკადა 1931 წლ. აპრილის 5—15 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) შეიგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები აპრილის 5—7 ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში; აგრეთვე შეიგროვოს ნებაყოფლობითი შემოწირულება ხელმოსაწერი ფურცლებით დაწესებულებებსა და საწარმოებში დეკადის განმავლობაში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს აპრილის 5—7 განმავლობაში დაბეგვრის სახით ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა სანახაობა-გასართობებზე (თეატრი, კონცერტი, ცირკი, კინო) მიზნებისათვის ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდებიანებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც დაწესებულია საერთო წესით.

4. შემოღებულ იქნეს აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოდ ქალ. ტფილისში აპრილის 5—დან 7-მდე (ამ რიცხვითურთ) ყველა სასტუმროში სადგომის სარგებლობისათვის და გოგირდის აბანოების სარგებლობისათვის დაწესებულ ფასზე 10% ზედნართი.

5. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს საზოგადოების „წერა-კითხვა“ ცენტრალური გამგეობა ამ მიზნისათვის მოწყობილი დეკადის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრ. საქ. უ. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. უ. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაძე.

1931 წ. აპრილის 3.

ტფილისი.

გამოტყვევებულია ვახ. „კომუნისტის“ 76 №-ში 1931 წ. აპრილის 3.

### 121. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების დეკადის ჩატარების შესახებ.

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და ხსენებულ ორგანოს მიერ დასახული მიზნების და იდეების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების დეკადა 1931 წლ. მარტის 20—30 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის—მარტის 20—30—განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) შეიგროვოს მარტის 28—30 ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები ხსენებულ განყოფილების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენონ



საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს აღნიშნული ვადის—28—30 მარტის—განმავლობაში დაბეგვრის სახით ხსენებული განყოფილების სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა სანახაობა-გასართობებზე (თეატრი, კონცერტი, კინო, ცირკი) მისვლელისათვის ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებული იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც დაწესებულია საერთო წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამ მიზნისათვის მოწყობილი დეკადის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით სრ. საქ. ცაკის მდივნის ანუ ს. თოდრიას თავმჯდომარეობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრაია.**

1931 წ. მარტის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-64 №-ში 1931 წ. მარტის 20.

## 122. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შილიციის ორგანოებისათვის და სხვა თანამდებობის პირთათვის დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში დახმარების აღმოჩენის დროს დაზარალებულ მოქალაქეთა უზრუნველყოფის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის პირი, რომელიც დაშავდება და დაჰკარგავს შრომის უნარს იმ დროს, როდესაც ის შილიციის ორგანოთ და სხვა თანამდებობის პირთ, მათის წინადადებით ან თავისი ინიციატივით, დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში დახმარებას უწყევდა, ხოლო რომელსაც არა აქვს უზრუნველყოფის უფლება სოციალური დაზღვევის წესით ან სხვა სპეციალური კანონების წესით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ საერთო საფუძველზე იმ პირების თანაბრად, რომელნიც ვათანასწორებულ არიან სოციალურად უზრუნველყოფილ პირთა ძირითად კონტინგენტებთან.

2. 1-ლი მუხლით ვათავალისწინებულ გარემოებაში დაღუპული პირის ოჯახის წევრი, რომელსაც არა აქვს უზრუნველყოფის უფლება სოციალური დაზღვევის წესით ან სხვა სპეციალური კანონების წესით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ იმ პირთა ოჯახის წევრების თანაბრად, რომელნიც ვათანასწორებულ არიან სოციალურად უზრუნველყოფილ პირთა ძირითად კონტინგენტებთან.

3. მე-2 მუხლის წესისამებრ უზრუნველყოფილ უნდა იქნენ გარდაცვალებულის ოჯახის შემდეგი წევრები: ა) შვილი, ძმა და და, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ; ბ) შვილი, ძმა და და, რომელნიც ინვალიდობის მიხედვით



მიეკუთვნებიან ინვალიდობის ერთ-ერთ პირველ ჯგუფს, უკეთეს მათ დაპენსიონირებას შრომის უნარი 16 წლის შესრულებამდე; გ) შრომის უნარმოკლებული მშობლები და მეუღლე, რომელნიც მიეკუთვნებიან ინვალიდობის ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფს; დ) ის პირი, „გ“ პუნქტში აღნიშნულ პირთაგან, რომელიც თუმცა შრომისუნარიანია, მაგრამ თავის მზრუნველობაზე ჰყავს შეილი, რომელსაც მ წელი არ შესრულებია.

4. გარდაცვალებული პირის ოჯახის წინა მუხლში აღნიშნული წევრები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს მათ არა აქვთ საკმაო სახსარი არსებობისა და უკეთეს ისინი იმყოფებოდნენ გარდაცვალებულის რჩენაზე მისი სიკვდილის დღისათვის; ამასთანავე შრომის უნარმოკლებული მშობელი, ძმა და და უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთეს მათ არა ჰყავთ სხვა ნათესავები, ვისაც კანონი ავალებს და ვისაც შეუძლიან არჩინოს ისინი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ლ. ხუბიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. აპრილის 3.  
ტფილისი.

## ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი

### 123. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის და 61 მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლისა და აგრეთვე 61 მუხლის დისპოზიციის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1 №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლი და 61 მუხლის მე-2 ნაწილი, ხოლო ამ უკანასკნელი მუხლის დისპოზიციის (აღწერილობითი ნაწილის) ქართული ტექსტი (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 265 და 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„60. გადასახადის ან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესატანი თანხის გაუღებლობა დაწესებულ ვადაზე, იმისდამოუხედავად, რომ საამისო შესაძლებლობა არსებობდა, უკეთეს წინა საგადასახადო წელს ერთხელ მაინც, ხოლო მიმდინარე წელს ორჯერ უკვე შეფარდებულ იყო გადახდევინების ღონისძიება ქონების აწერისა და აწერილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის სახით, გამოიწვევს

ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელი თანხის ათჯერადი რაოდენობისა; ხოლო, უკეთეს ეს ქმედობა ჩადენილია კულაკის მიერ, შეიძლება მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაცია.



იგივე ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია ზელმეორედ, ან რამდენიმე გადამზდელის მიერ ერთიერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით, ან და, უკეთუ გადაუხდელი თანხა ორი ათას მანეთს აღემატება,—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ქონების ნაწილის, ხოლო კულაკებისათვის—მთელი ქონების კონფისკაციით, ან ჯარიმით არა უმეტეს გადასახდელი თანხის ათჯერადი რაოდენობისა ან უამისოდ, და უწყებული ადგილიდან განდევნით ან უამისოდ\*.

„61. ბეგარის მოხდაზე ან საერთო-სახელმწიფოებრივი დავალებისა თუ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს“ . . . . .

61. ნაწ. 2. „მეორეჯერ—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე; ხოლო, უკეთუ ეს ქმედობა ჩადენილია კულაკის მიერ, შეიძლება მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაცია“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 3.

ტფილისი.

124. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 78<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

„ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გატეხისა და გაფუჭებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-9 №-ი, მუხ. 104) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 78<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„78<sup>1</sup>. საბჭოთა მეურნეობისა, სამანქ ანო-სატრაქტორო სადგურისა და კოლექტიური მეურნეობის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაფუჭება და გატეხა, თუ იგი შედეგია დანაშაულებრივ-დაუდევრობითი მოპყრობისა ამ ქონებისადმი, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია რამდენჯერმე, ან მით მიყენებულია ღიდი ზიანი,—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.



**შენიშვნა.** უკეთეს გაფუჭება ან გატეხვა უმნიშვნელოა, შეიძლება დაედგას გადასახდელი შინაგანრიგების წესით და ფულადი გამოსაბარი მომქმედი კანონის შესაბამისად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1931 წ. აპრილის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 94 №-ში 1931 წ. აპრილის 24.

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

### 125. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ.

„საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილებისა („სსრკ ცენ. აღმ. კომიტ. იხვეცტია“-ს 1931 წ. 64 №-ი) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისია და, საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულების მე-17 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-13 №-ი, მუხ. 126), საქართველოს სსრ შედგენილებაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის უმაღლეს ორგანოებთან მოწყობილი საარბიტრაჟო კომისიები გაუქმებულად ჩაითვალოს.

2. სახელმწიფო დაწესებულებათა და განსახოვადობული სექტორის საწარმოთა შორის აღძრული ჭონებრივი დავანი, რაც წინად საარბიტრაჟო კომისიებს ექვემდებარებოდა, გადაეცეს განსახილველად საერთო სასამართლო დაწესებულებათ და ამ საქმეთათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ქვემდებარება:

ა) იმ დავას, რომელშიაც მხარეები ან ერთ-ერთი მხარე საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებაა, ტფილისის საქალაქო საბჭო, სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ან ა/კსფსრ შედგენილებაში შემავალი სხვა რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულება და საწარმოა, აგრეთვე დავას საქართველოს სსრ შედგენილებაში შემავალი სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა შორის გადასწვევტს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო; იგივე სასამართლო გადასწვევტს დავას, რომელშიაც მხარეები ან ერთ-ერთი მხარე ყველა სახის კოოპერაციის საერთო-საკავშირო, ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კავშირია (ან სხვა ცენტრი) და საერთო-საკავშირო, სამიერკავკასიო

და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცენტრალური ორგანო;

ბ) იმ დავას, რომელშიაც მხარეები ან ერთ-ერთი მხარე საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებაა, ყველა სახის კოოპერაციის ცენტრი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცენტრალური ორგანო, გადასწყვეტს ამ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი (უზენაესი) სასამართლო ან ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლო;

გ) ყველა სხვა ქონებრივ დავას სახელმწიფო დაწესებულებათა და განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა შორის გადასწყვეტს სათანადო სახალხო სასამართლო საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საერთო ქვემდებარეობის წესისამებრ.

**შენიშვნა.** ისეთი დავა, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე სსრკ-ის დაწესებულება ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა, უკეთუ სსრკ-ის სათანადო ცენტრალური ორგანო მოითხოვს, უნდა გადაეცეს განსახილველად სსრკ-ის უზენაეს სასამართლოს.

ისეთს დავას, რომელშიაც მხარენი სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების დაწესებულებათა ან საწარმოთა ცენტრალური ორგანოებია, განიხილავს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო შოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამაზე მხარენი თანახმანი იქნებიან; ხოლო, უკეთუ ასეთი თანხმობა არ არსებობს, აღნიშნულ დავას განიხილავს სსრკ-ის უზენაესი სასამართლო.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ქონებრივ დავათა საქმეები საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა (უზენაესმა) სასამართლომ და ავტონომიური ოლქის მთავარმა სასამართლომ უნდა განიხილოს იმ შემთხვევაში, უკეთუ მოპასუხე მხარე მისი ქვემდებარეობის ტერიტორიაზე იმყოფება.

**შენიშვნა.** ისეთი საქმე, რომელშიაც მხარენი საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკის დაწესებულებათა და საწარმოთა ცენტრალური ორგანოებია, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განიხილულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში მოსარჩელე მხარის სამყოფელი ადგილის მიხედვით.

4. სახელმწიფო საწარმოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა არა-შემძლეობის საქმეები, — საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო საწარმოთა არა-შემძლეობის საქმეების გარდა, — განიხილულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში; ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო საწარმოთა საქმეები განიხილება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს (უზენაეს) სასამართლოებში და ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოში — კუთვნილებისამებრ.

5. ქონებრივი დავა ერთი და იმავე უწყების დაწესებულებათა და საწარმოთა შორის სასამართლო დაწესებულებაში არ განიხილება და მას გადას-

წყვეტს სათანადო ზემდგომი საუწყებო ორგანო; ამასთანავე ამ მიზნით საუწყებო საარბიტრაჟო კომისიის მოწყობა არ შეიძლება.

6. სასამართლო დაწესებულებას, ისეთი საქმის განხილვის დროს, რაც წინადა საარბიტრაჟო კომისიას უნდა განეხილა, უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამეურნეო მიზანშეწონილობის მოსახრებით, გაანთავისუფლოს მხარენი ნაწილობრივ ან მთლად ვალდებულებებისაგან ან ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან.

7. სახელმწიფო დაწესებულებათა და განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული საქმეები, აგრეთვე ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული საქმეები სასამართლო დაწესებულებაში განხილება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით; ეს სახალხო მსაჯულნი უნდა ეკუთვნოდნენ სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელ მომუშავეთა რიცხვს.

სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მისაწვევ სახალხო მსაჯულთა სიებს შეადგენენ ყოველ წელს არა უგვიანეს დეკემბრის 1-ისა განსაკუთრებული კომისიები შემდეგი შემადგენლობით: ა) საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლოს ქვემდებარე საქმეების განხილვაში მონაწილე სახალხო მსაჯულთა სიას—სათანადო რესპუბლიკისა თუ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი (კომისიის თავმჯდომარე), უზენაესი, უმაღლესი და მთავარი სასამართლოს ორი წევრი, სახელმწიფო პროკურატურის წარმომადგენელი და სათანადო პროფესიონალური საკავშირთაშორისო ორგანიზაციის სამი წარმომადგენელი; ბ) სახალხო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მისაწვევ სახალხო მსაჯულთა სიას—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი (კომისიის თავმჯდომარე), სახალხო მსამართლე, სარაიონო პროკურატურის წარმომადგენელი და სათანადო სარაიონო პროფესიონალური საკავშირთაშორისო ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი.

**შენიშვნა.** მიმდინარე წელს აღნიშნული სიები შედგენილი უნდა იქნეს ათი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

8. სახალხო მსაჯულთა სიაში იმ საქმეების განხილვისათვის, რაც წინადა საარბიტრაჟო კომისიებს ექვემდებარებოდა, შეიტანებიან განსაზოგადოებული სექტორის საერთო-საკავშირო, საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციათა პასუხისმგებელი მომუშავენი, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ, ვიდრე ორი წლის სტაჟი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციაში მუშაობისა, რომელნიც მუდმივ ცხოვრობენ სათანადო სასამართლოს სამყოფელ ადგილას და რომელნიც შეესაბამებიან ყველა სხვა პირობას, რაც დადგენილია სასამართლოს წყობილების დებულებით სახალხო მსაჯულთათვის.

სახალხო მსაჯულთა სიებში შეტანილ უნდა იქნეს არანაკლებ: ა) 30 პირისა—საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სხდომებში მონაწილეობის



მისაღებად; ბ) 15 პირისა—აგრონომიური რესპუბლიკის უმაღლესი (უზენაესი) სასამართლოს სხდომებში და აგრონომიური ოლქის მთავარ სასამართლოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად; გ) 10 პირისა—სახალხო სასამართლოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

**შენიშვნა.** უზენაესი, უმაღლესი და მთავარი სასამართლოს სამყოფელ ადგილას, სახელმწიფო დაწესებულებათა და განსაზღვრული სექტორის საწარმოთა შორის აღძრული ისეთი საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რაც სახალხო სასამართლოს ექვემდებარება, სახალხო მსაჯულნი შეიძლება მიწვეულ იქნენ ამა მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ სიებში შეტანილ პირთაგან.

9. ყველა ის საქმე, რაც გადაწყვეტილი არ არის საარბიტრაჟო კომისიის მიერ ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, ხუთი დღის ვადაზე უნდა გადაეცეს, ქვემდებარეობის მიხედვით, სათანადო სასამართლო დაწესებულებას შემდგომი განხილვისათვის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით და ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ. ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტამდე უკვე გადაწყვეტილი საქმე, რაც წინადაც საარბიტრაჟო კომისიის ექვემდებარებოდა, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს მხოლოდ ზედამხედველობის წესით საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულების მე-13 მუხლით და 21 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ორგანოებში. ასეთი საქმე, უკეთეს მის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმებულ უქნა, ხელახალი განხილვისათვის უნდა გადაეცეს სასამართლო დაწესებულებას ამა დადგენილებით განსაზღვრული ქვემდებარეობის წესისამებრ.

10. საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების დებულება (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-13 №-ი, მუხ. 126, 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 1 და მე-16 №-ი, მუხ. 165) გაუქმებულ იქნეს.

11. მიენდოს აფხაზეთის აგრონომიური სსრ-ისა, აქარისტანის აგრონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის აგრონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ სათანადო ღონისძიებანი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. აპრილის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 116 №-ში 1931 წ. მაისის 22.



**126. დადგინილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების 1-ლი მუხლის მე-სამე ნაწილისა და მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის „ბ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოთა დებულების 1-ლი მუხლის მესამე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 22 №-ი, მუხ. 318) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს სახალხო მსაჯულნი (საზოგადოებრივი მოსამართლენი) აირჩევიან ორივე სქესის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) და საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის თანახმად, აქვთ საარჩევნო უფლება, თვითფული სოფლის მოქალაქეთა საერთო კრებაზე—თითო მსაჯული 50 მცხოვრებზე—ისეთი ვარაუდით, რომ თვითფულ საზოგადოებრივი სასამართლოზე მოდიოდეს არა ნაკლებ 25 მსაჯულისა“.

2. იმავე დებულების მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს:

ა) სისხლის სამართლის საქმეები . . . . .]

„ბ) ხალხის ჯანმრთელობის დაცვის წესების დარღვევის შესახებ, უკეთეს დარღვევა გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლებით ან ცენტრალური თუ სარაიონო ორგანოების საეკლდებულო დადგენილებებით, და აგრეთვე ხელისუფლებისათვის ხალხის გადამდები ავადმყოფობისა და პირუტყვის გადამდები სენის ან ვაწყლომის შემთხვევების შეუტყობინებლობის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 200 მუხლის 1 და 3 ნაწ.)“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 19.  
ტფილისი.

**127. დადგინილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების მე-8 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 228) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოდგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. აპრილის 19.  
ტფილისი.

### 128. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„347. საბოლოოა და არ განისაზღვრება, ხოლო უზენაეს სასამართლოს შეუძლიან ზედამხედველობის წესით გააუქმოს ან შესცვალოს:

ა) სახალხო სასამართლოს განაჩენი, უკეთეს ამ განაჩენით სოციალური დაცვის ღონისძიებად გადაწყვეტილია თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა სამ თვემდე, ამა თუ იმ მოსაქმეობისა ან რეწაობის აკრძალვა, საზოგადოებრივი ვაკაცება, გაფრთხილება ან ფულადი ჯარიმა ას მანეთამდე;

ბ) სახალხო სასამართლოს დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ამა კოდექსის 261 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

გ) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების მიღების შესახებ ამა კოდექსის 267 და 341 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. პ. მელაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაი.

1931 წ. აპრილის 27.

ტფილისი.